



KA020100121129518

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 17/8046

05 / ოქტომბერი / 2018 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა
დეპარტამენტის დირექტორს
ბატონ ალექსანდრე ხვთისიაშვილს

ასლი: სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის
სააგენტოს“

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი 2018 წლის 28 სექტემბრის № 01/39212 წერილის პასუხად, რომელიც ეხება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 19 სექტემბრის № 8516/4DSNG ნოტის ასლს, საავტომობილო ტრანსპორტით, საქართველოში გარკვეული პროდუქციის (ხორბალი, ფქვილი) შემოტანასა და ქვეყნიდან გატანაზე დაწესებული შეზღუდვების შესახებ, გაცნობებთ, რომ აღნიშნული შეზღუდვები დაწესებული იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 22 აგვისტოს № 314 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის № 290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ამასთან, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის № 357 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის № 290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 22 აგვისტოს № 314 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გემოაღნიშნული შეზღუდვების ამოქმედების თარიღმა გადაინია 2019 წლის 1 ოქტომბრამდე.

პატივისცემით

ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების
პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად



ქეთევან სალუქვაძე